



# № 8 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოგზავნება ამ აღწებით: Тифლის, Типография Т-ва „Шрома“. Теофили Ерастовичу Болкивадзе.

## მწეგმის სიმღერა

(ეუძღუნი „სალამურს“)

ხელთ მიპყრია სალამური,  
მორაკრაკე, საამური  
და გაისმის ხმა ციური;

არე მარეს ეფინება,  
ყურსა უგდებს თვით ბუნება  
და სიამით იღიმება.

ღიადღა ხელოვნება!  
მისით ყველა იხიბლება  
და ქედს უხრის, ემონება.

ის სძულს მხოლოდ შავს სატანას,  
რომ გვიმღერის ბოროტ ნანას  
და თან ღვსავს ჩვენთვის დანას.

როცა ესმის, გულზე სკდება,  
აზრთა ჯალათს ეკითხება:  
„რათ მიეცი ამის ნება?!“

მაგრამ სანამ შემწეეს ძალი,  
თუნდ მომიღვას ცეცხლის ალი  
არ შევდრკები, ვით კლდე სალი.

და სალამურს—ამ ჩემს სატრფოს,  
გაცივებულ გულის გამბობს,  
ვათქმეინებ ნანახ-ნაგრძობს!

ვ. რუხიძე.

## მზის ასული.

(ღრამატეული პოემა)

### მისალმება.

სალამს მოგიძღვნით ოცნების სულნო,  
ციური ცეცხლით კვლავ დაეწევი,  
ობლათ და შთომილ მგონის ერთგულნო  
თქვენს სამეფოში ფიქრით ვინთქები.  
მოდით, მოფრინდით წელი სისინით,  
გაესაუბრეთ გაცრეცილ სიმებს,  
თორემ ჩაიქვა გული ქვეთინით,  
მარად მიმღერის მწუხარე ჰიმნებს.  
ბედის ქახრაკში ჩაიღრღნა ცნობა,  
ვერ გავექეცი მწარ სინამდვილეს,  
არსით ნუგეში, არც თანაგრძნობა,—  
დიდების სხივი გამიაჩრდილეს.  
აბა რა ვკითხო ამ ყრფ გარემოს?  
ან სათნოება სად არი, სადა?  
შხამს აწვეთებენ სიციცხლის გემოს:—  
ნიჭი ჩამქრალი... აზრები სადა!  
თვით ხელოვნების წმინდა ტაძარი  
უმაღლო მღიღებს დაუტყვევიათ,  
დაღუმებულა ეოლის ქნარი,  
ძილის აკვანი დაურწევიათ.  
დაშორებია მიზანს, მიზანი,  
ქეშმარიტება უსიტყვოდ დნება,  
ამაოდ ჰქრიან ამაო თქმანი,—  
შვების ყვაილი კუკურში სქენება.  
რალაც უაზროდ ფუსფუსებს ხალხი,

გზა დაჰკარგვია, ნუგეშს ამცდარა,  
 მოძმეთ შური აქვს გულს ჩანასახი,  
 არარაობის ტვირთად გამხდარა.  
 ხან უკან იხევეს, ხან მიღის წინა,  
 ვერ სცნობ კიბოა თუ შავარდენი,  
 სულის ქაობში აღუთქვამთ ბინა,  
 უბასუბ-გებობთ მიჰქირან ღდენი.  
 ვერაფერ არჩევეს ჟამთა დასავალს,  
 ვერც უკვდავების იპოვეს წყარო,  
 მხოლოდ რჩეულნი იხდიან თვის ვალს,  
 ჰხდება ამბები საგლოვ-სახარო.  
 ოჰ, ამ დღივგში ვიღრჩევი მარტო,  
 მიწა ცივია... გონებით მკვდარი,  
 არ ვიცი ფიქრი ვის განვუშარტო,  
 ვერსად შევნიშნე სულის საფარი.  
 არც მსურს ჩაენღელდე... მძლავრად სცემს გული,  
 მინდა პრომეთეს ცეცხლით ვიწოდდე,—  
 სად არს სამოთხე და ან უფსკრული  
 აზრთა მეუფემ რად არ ვიკოდდე?  
 და... აწ თქვენ გიხმობთ სულნო ოცნების,  
 მოთ, ამიფეთქეთ დამწველი ალი,  
 გამხადეთ ბარემ მგოსანი გრძნების  
 რომ საიდუმლოს გადაწვდეს თვალი!  
 ჟამსა მწუხრისას, თქვენ გიშვერთ ხელებს  
 უცხო კედელზე მოსვენებული,  
 რუსთაფლის მუხაც თუ გამიღვივებს  
 მარად დაფრჩები მომადლებული.  
 მაშ შეიწირეთ ეს ჩემი სევდა,  
 ისევ იმედით ამწყვეთ სიმნი,—  
 აუ ბაირონი ზეცას არყვედა,  
 მე, მიწას მაინც ვაძინო ჰიმნი!

## I

## მ გ ო ს ა ნ ი

(ღარიბულათ მორთული ოთახი)

ოჰ, ეს წუთები!.. იმისი სახე  
 განუშორებლივ მიდგას თვალთ წინა,  
 აი წელანაც-კი დავიჩაბე,—  
 ელვის სისწრაფით ჩამოიბრინა!  
 ანგელოსია უმანკო, წმინდა,  
 ღიღების სხივი შუბლზე უკრთება,  
 შხის სამეფოდან ის გადმოფრინდა  
 და, ობოლ მგოსანს შეაღერებდა.  
 მძინავს,—ლიმილით დამფრენს თავზედა,  
 ამბორით მირხვეს თმისა კულულებს,  
 მღვიძავს—სიმებათ ებმის ჩანგზედა,  
 ჰანგებს მასწავლის... ის მასულდგმულებს.  
 თვით ჟამსა პირველ სიჭაბუკისას,

გავიცან იგი არის ციური,  
 მინთებდა ლამპარს შემეცნებისას,  
 მომხადლა სწრაფვა ტიტანიური,  
 ტრფობას აქსოვდა დედის ნანასა  
 და, ამ ნანინას, ვერძობდი მხოლოდ მე,  
 შიგ მიხატავდა სხვა ქვეყანასა,  
 სადაც მეუფობს მხოლოდ სიამე.  
 მომხიბლავიყო მისი სიმღერა:  
 იმ ხმას ვყურობდი ქარის სისინში,  
 თუ რას მიქაღდა ბედისა წერა  
 სრულად რთქრდა ფოთოლო ქვითინში.  
 ოჰ, ეს ბუნება!.. ვით მეგობარი  
 მესაუბრება საამო ვნით,  
 ტკბილ გარმონიით სულის მწთებარი  
 მისკენ მიტაცებს ზე-აღმაფრენით.  
 უღიადესი ნიჭი სიცოცხლის  
 მის ფერადებში არს ჩაქაგრული,  
 დაუსრულებელ ეტლთა ქროლვით რბის  
 რალაც ძვირ მიზანს მოწყურებული.  
 თანაც ყოველი მისი მიმოხვრა  
 ნელ მელიდით სულს ეკონება...  
 ჩემი სევდაა—ტალღათა ოხვრა,  
 ფიქრი—ლაყვარდის, ჩამოღრენება!  
 ოხ! ის გრძნული მასში სულდგმულობს,  
 ლამაზ ყვავილებს აფარებს თავსა,  
 უცხო კილოზე მღერის, ბუღბუღლობს,—  
 ის ჰიმი ჩემთან მოაქვს ნიაესა.  
 ჩუ! გარეთ კიდევ სიომ დაჰქროლა,—  
 მალე სიმღერა შემომესმება,  
 ჰა, მესმის!.. ჩანვი კვლავ შეაკრთოლა,  
 სამოთხის ჰიმი სმენას ადნება.  
 (გარეშდამიდან მოაჩინას ნელა სიმღერა).

## ბ მ ა.

ეთერსა სძინავს,—  
 ჰყინავს და ჰყინავს,  
 ლაყვარდა შორის  
 მისცურავს მთვარე,  
 სიკვდილი ქშინავს,  
 სევდა დაფრინავს  
 დამწუხრებულა  
 მიდამო—არე.  
 სტვენს ავი სული,—  
 სიცოცხლე კრული,  
 ბნელის კლანჭებში  
 გაწურულია:  
 არც სიხარული,  
 არც სიყვარული,—  
 ძე აღამისა

განწირულია.  
 ბოროტებასა,  
 ქებათ-ქებასა,  
 შეღალღებენ  
 განცხრომის შვილნი,  
 სათნოებასა,  
 წმინდა ვნებასა,  
 თავს დასწოლია  
 საფლავის ჩრდილი.  
 ყვავილ-ბაღნარი  
 არი ჩამქნარი,—  
 ჯოჯოხეთისა,  
 ცუცხლი გრიანებს,  
 გულ-შესახარი  
 ვერცხლის ლაშქარი,  
 ვით ბუკსაყვირი  
 რისხვით ღრიალებს.  
 ქანაობს ბედი,—  
 წინა-მორბედი,  
 თქმის უწინარეს  
 უენო ჰხდება,  
 წახრია ქედი,  
 რწმენა-იმედი  
 მწირი გამხდარა,  
 უღაბნოთ სქენება.  
 ყრუა უფალი..  
 ქირისუფალი,  
 ხვედრს დატიროს  
 არავინ არი,  
 თუ გაკრთა ალი,  
 მზადა აქეთ წყალი:—  
 წესის აგება,  
 ზარი და ზარი!  
 ეჰ თვით მგოსანი  
 შუბლ-სხივოსანი,  
 ფერად ჰანგებსა  
 თავსა აფარებს,  
 სწვავს კაეშანი,  
 შეცვლია თქმანი,  
 გულის კაეშანს  
 ჩუმად ატარებს.  
 სხვაფერ ჰქნის სიმებს,  
 კილოს ამძიმებს,  
 საუკუნეთა  
 ის, შემაერთი;  
 ცას შესისინებს,  
 წარავლენს ჰიმნებს,  
 თუმც კარგათ იცის,—  
 იქ, არ ჰყავს ღმერთი.  
 და, მიტომ ციდან,

მზის წილიდან,  
 მე მოვაშურე  
 კაცთა მხარესა;  
 ვასწავლო ჰანგი,  
 აუწყო ჩანგი,  
 ჩემ სატრფო მგოსანს  
 გულ-მწუხარესა.  
 მაშ კვლავ ნიავო  
 ლაღად მფრინავო,  
 მიუტა იმას  
 ჩემი სიმღერა,  
 ასწავლე ბინა,  
 მას წინდაწინა:  
 „შრომის სამთავრო,  
 მაშგარალთა კერა!“

### მგოსანი (განწყვიფრებული).

ოჰ, ღმერთო ჩემო! კვლავ ის სიმღერა,  
 სმენის დაშტოობი ვით დედის ნანა,  
 გულს ისევ შეგების აუტყდა ძგერა,—  
 აღთქმის მხარეში გარდამიტანა.  
 ნეტა ვინ არი?.. რისთვის მიმღერის?  
 შე ხომ აროდეს აღარ მინახავს?  
 ნუ თუ სულია ბედისა წერის  
 და საბოლოო მიზანს მისახავს!?  
 ეს ხმა მესმოდა თამს სიყრმისას,  
 ეს ხმა მესმოდა ტანჯვის წამებში,  
 დილის რიერაუზზე, შებინდებისას  
 და, თვით ბუნების მხიბლავ ჰანგებში.  
 მაგრამ დრო გადის .. ვერ ვპოვე ისა,—  
 მხოლოდ როს ბნელი ლაქეზარდს დასცარავს,  
 მე შემომესმის ეს ჰიმნი ცისა  
 და, თვისი გრძნებით თვით სულსა მპარავს.  
 ოჰ, ხმებო! ხმებო! ნუ, ნუ შეწყდებით,  
 განწირულ მგოსანს დამიტკბეთ სმენა,  
 ოდეს მწუხარეს შემომესმეებით  
 მაშინ ფრთასა შლის ზე-აღმაფრენა.  
 თვალთ წინ მესვლება ოცნების მხარე,  
 ვტოვებ, სოფლისა ამაოებას  
 და, ფერიებსთან იქ მონარნარე,  
 განვუცდი სულით შე განსვენებას.  
 ახ, ეგებ ითხოვ საშვიეროს?  
 გინდა ისმინო შენ ჩემი ჰანგი?  
 ვერ-კი გიმღერებ საბედნიეროს,—  
 ცრემლში გაგქედვ ეგ ჩემი ჩანგი!  
 (ჩანგი თათს გჰქვარავს და ზეად დაღმერას).

ტრფობის ალითა, მალითა  
 შესიკნა სული და გული,

არ ნანახითა სახითა  
წინასწარ დამწვარ-დავული.  
კილო გრძნებისა, შევებისა  
შეიქმნა ჩემი მთრობელი,  
წინა-თქმებითა, ხმებითა  
სიცოცხლის დამატკობელი.  
ჰიშნი აცურდა, გახურდა  
სურვილი ჩაღონებული,  
დიად მცნებითა, გრძნებითა  
ემხნეველები დაობლებული.  
ხმებრ ეხ, ხმებო, ჰანგებო!  
გასწურეთ ჭირი გულისა,  
ლონე მალონეთ, მაგონეთ  
ნიშანი სიხარულისა.

ბნელი გააბეთ, გააღეთ  
სულის დახშული კარები,  
განთიადისა მარდისა  
ჩამოჰკათ უცხო ზარები.  
მე მას მოველი, ყოველი  
ჩემი ღიღება ის არი,  
ის არს პირველი მწირველი  
მიზანთან შენაფიკარი.  
მაშ მომაღხინეთ, მასმინეთ  
რიყრაყის გედის სიმღერა,  
სხივი აშაღეთ, წაშაღეთ  
სიბნელით რაც დაიწერა.

შეწყდა სიმღერა, დაღუმდნენ სიმნი,  
სღუმს თვით მგოსანი, თითქოს იძინებს,  
სურს გაიგონოს ის უცხო ჰიშნი,—  
გარეთ კი, მხოლოთ სიო სისინებს.  
რა ვეღარ ისმენს, სულით მწუხრდება,  
ღიდ ხანს ზის ასე ჩაფიქრებული,  
მაგრამ კვლავ ნდობით გული უკრთება  
და, იმ ხმას იწვევს დაღონებული.

### მგოსანი.

სად, სად ვეძიო?... ჩემი გრძნეული  
სად დასრიალებს? სად იძალდება?  
ნუ თუ, მოხიბლავ ჰანგათ ქცეული  
ტურფა ვინმეა და... მეკრძალებს?  
ნუ თუ სიყრმითვე ბედით განწირულს  
გადომიველინა ნანატრი ბედი  
და, გულში მიგზნებს ტრფობა-სიყვარულს  
ნეტარ მერმისის წინამორბედი?  
მაშ რად ვერ ებოვე უცხო ჩვენება?  
ღამის ჩრდილებსა რად ეფარება?  
ეგებ ვერ მიცნობს, სველითა დნება,  
ყვავილ-ბალახებს ემუდარება  
რომ, მათ გააცნონ მწირი მგოსანი,

უტოლ-მეგობროდ საღდაც გდებული,  
მკერდში ჩაეწნას გვირგვინოსანი,  
ზე-აღადგინოს ფიქრით ვნებული?  
ოჰ ვეგბ!.. მაგრამ მე, მე მოგნახავ,  
სრულად მოვივლი ქედებს და ქაღებს,  
სიცოცხლის მიზნად შენ დაგისახავ—  
ჰიშნებს ვუმღერებ საყვარელ თვალებს.  
რაა ცხოვრება მღორე, უძრავი,  
რაა კაცი თუ, არ ილტვის წინა!—  
თუნდ გამეთხაროს მე გზად საფლავი  
უნდა ვეძიო იმისი ბინა.

### ბ მ ა.

—მაშ კვლავ ნიავო  
ლაღათ მფრინავო,  
მიუტა იმას  
ჩემი სიმღერა,  
ასწავლე ბინა  
მას წინდაწინა:—  
„შრომის სამთავრო,  
მაშვრალთა კერა!“

### მგოსანი.

„შრომის სამთავრო!.. მაშვრალთა კერა!..“  
ოჰ, ეხლა, ეხლა გამეხსნა ცნობა,  
ხოშ მათ ეკუთვნის ჩემი სიმღერა?—  
იქ სუფევს: ტანჯვა, შრომა და ძმობა!  
მაშ თქვენთან მოვალ ტანჯულ-გვემულნო,  
თქვენ გაგიცხადებთ გულის ზვაშიადს,  
ცეცხლში ნაწრთობნო, გაჰკეცებულნო  
ჩვენ შევეგებოთ ერთად განთიადს.  
თქვენ ბედის გრდემლსა დაჰკარით კვერი,  
მე ამ რახუნში გავეკედავ ჰანგებს,  
ბრაზით დაიდრჩევს დუშმანი მტერი—  
მისვე შეესტყორცნით რასაც მოგვავებს.  
დე გუზგუზებდეს ცხოვრების ქურა,  
აღში ჰფეთქავდნენ გულისა თქმანი,  
სიცოცხლეს გემო თუ გაეწურა,  
ისევ აღგავზნებთ,—თქვენი მგოსანი.  
(სელაში ჩანჯა ადებს).

ჩანგო, მაშ მათთვის ავაწყათ სიმნი,  
გადავერიოთ მშუოთვარე ტალღებს,  
მათ გიჟურ ჰიშნებს შეუწყობთ ჰიშნი,  
სანამ სიკვდილი საფლავს გააღებს.  
შენსკენ მოვდივარ მაშვრალთა კერავ,  
შენთან დავრჩები სულით, ლეშითა...  
დაიგუგუნე შეგების სიმღერავ.  
სიმებო, ბანი უთხარო კენესითა.

ჩემო ოთახო! შენ გესალმები, —  
რაც ჩავაბარე გულის ფიქრები,  
გვედრი, ხსოვნაში რომ ჩაიპარხო,  
სანამ საფლავში არ დავინთქები!

(შგოსნა დგება და გასასწავლად ემზადება. ამ დროს  
კარებს ჯავახუბს. შემოდის შგოსნას ამხანაგება: ორა  
უმაწეილა კაცი და ერთად ქადა.

**6. ჩივივადე.**

(შემდეგი იქნება)



**ცისკრის სუკარული.**

(ნავეკლად).

არის სევდა გამოუთქმელი და  
თვლებზე გამოუტრებელი ცრემ-  
ლები ჰკრთიან.

ლსკარ უაილი.

შაბათ საღამოს, როგორც ებრაელები მესისას,  
ისე ველოდით. ამ დროს ვიკრიბებოდით ჩვენ ერ-  
თად მორიგეობით თვითოეულის სახლში. ეხლაც  
რამდენიმე ახალგაზდა ვისხედით ოთახში და ამხა-  
ნაგების მოლოდინში ჩუმად რაღაცაზე ვსაუბრობ-  
დით. რაზე? ეხლაც არ მახსოვს, ვერ მომიგონია,  
შოლოდ ეს კი იყო რომ მოლოდინი ყველას გულს  
გვილონებდა.

— ნეტა მოვიდენ მაინც, წაილაპარაკა ვილა-  
ცამ, მაგრამ ეზოში არაფერ სჩანდა. შემოდგომის  
დღე თანდათან იწურებოდა და რამდენათაც ღამის  
ბინდი ერთკეობდა ქვეყანას იმდენად უფრო ღონდ-  
ბოდა, ოთახში პაპიროზის კვამლი იდგა და ცხე-  
ლოდა კიდევ.

— გამირჯებოთ! უკვე მოსულხართ? ნელის  
ხმით ჩაილაპარაკა არჩილმა, შემოაღო კარები და  
კუთხეში ჩუმად მიჯდა.

რვა საათზე ყველა შევიკრიბეთ, მოწყენილება  
უცბათ ვაპქრა, ბევრ რამეზე გავაბით საუბარი.

— აი, დასაწყისი ყველაფრისა, ის დროსა და  
სივრცის ვარემე სდგას. ის არც შეიძლება გაიზო-  
მოს, არ შეიძლება მისი აზრით მიწოდომა ... რწმენა  
შოლოდ მისდამი უმწიკველო რწმენა, თუ დაამშვი-  
დებს იქვით დასერილ სულს.

— ეშმაკმა გზიდოთ, თუ არც გაიზომება, თუ  
ადამიანი ვერ მისწვდება არ უნახავს, არ სმენია,  
როგორ შეიძლება რომ ირწმუნო. — სვედიანად წაი-  
ლაპარაკა ერთმა მუშამ, რომელიც მუდამ გვესწრე  
ბოდა კრებაზე.

— მართლაც და რა მისტიური საშინელება  
მოიცავს ადამიანს, შოლოდ ერთ ფიქრზე, როგორ

დავიჯერო, რომ მე რომელიც ვაზროვნებ, რომე-  
ლიც ვგრძნობ და ვსიცოცხლობ ხვალ მტვრათ ვიქ-  
ცევი და ჩემ საფლავზე ამოვა ეს ბაღახი, რომელ-  
საც დღეს ფეხით ვქედავ; ვერ დავიჯერებ ვერა,  
რომ არ არსებობდეს რაღაც იდეალური ძაფი, უხი  
ლავთან რომელიც არსებობს, და რომლის არსე-  
ბობაზე იქვიც, სიკვდილი იქნებოდა, საშინელი სიკ-  
ვდილი...

— მეც ბევრჯერ ჩავფიქრებულვარ ამ საგანზე-  
დაიწყო ახალგაზდა გამზადრმა სტუდენტმა, რომელ-  
საც ამხანაგები „ბრუტს“ ვეძახოდით, და რამდენ-  
ნაღაც ვფიქრობ იმდენად უფრო რთულდება, იმ-  
დენად უფრო ბუნდოვანია ეს საგანი. ბერძნების მი-  
თოლოგიაში ერთი ღირსშესანიშნავი მითია, საბერ-  
ძნეთში იყო სფინქსი, რომელიც გამოცანებს იძ-  
ლეოდა და ვინც ვერ ახსნიდა მისი მსხვერპლი ხდ-  
ებოდა. ასეთივე სფინქსია ისიც, ვიჭედაც ჩვენ გლა-  
პარაკობთ, ბევრი ადამიანის სულის მშვიდობა აუშ-  
დვრეფია და რამდენს აუღმვრეფს აწი, სასეგბით ვე-  
რაფინ ჩასწვდება მის არსებობის იდეალულებას და  
ბევრი საფლავშიაც ჩაიტანს იქვს..

— მაინც რომ არ შეიძლება მისი საცესბით  
შემეცნება თვითონ უფალმა უთხრა მოსეს ჩემი  
შენში დანახვა შეუძლებელია, რომ არ მოკვდე“ო.  
ქაბუქმა სოისიდან შეხედა „ღვთის არსებას“  
და აკი მოკვდა.

— კარგი, კარგი ეხლა სხვაზე ვილაპარაკოთ,  
თორემ ისედაც არ ვიყავი ხალისიანი და ეხლა ლა-  
მის სევდამ შემშალოს, ადამიანებო სპინოზა, ატე-  
იზმისთვის, რომ კოცონზე დასწვეს ისიც ამბობდა  
„არის ერთი სუბსტანცია და ის არის ღმერთიო“ და  
თქვენ მართლა რა ღმერთი გიწყრებთ, კიდევ კარ-  
გი რომ საშუალო საუკუნეოები არ არის, თორემ  
თქვენც ნახავდით ტორკვემალის საშინელების კო-  
ცონს და აუტელადფეხე კიბოსავით შეიხრაცებოდით.

— მართლაც კაცო, გაათავეთ ერთი რაღა ამა-  
ღამ მოგინდათ ყველას ფილოსოფოსობა.

— კარგი, მაგრამ რაზე ვილაპარაკოთ?

— ეგ თქვენ იციო...

— რაზე თუ არ სიყვარულზე, იმისთანა სალა-  
მო, როგორ იქნება, რომ მაზე ლაპარაკი არ ჩამო-  
ვარდეს.

...ბევრი აზრი გამოითქვა იმ ღამეს სიყვარულ-  
ზე: ზოგი რას ამტკიცებდა, და ზოგი რას.

— სიყვარული ეს პირველი სიტყვაა, რომე-  
ლიც წამოცდა შემოქმედს ჩაურთო ერთმა.

მაგრამ მტრებიც გამოჩნდნ სიყვარულისა, — არ-  
ჩილმა დაიწყო თივისებურათ ავტორიტეტებით მტკი-  
ცება

— სიყვარულმა რაც უნდა სახე მიიღოს, მაინც ფესვი განსაკუთრებით სქესობრივ ინსტინქტში იმარხება და არსებითად არა არის რა თუ არ ინტიქტი“ ასე აშშობს ბატონებო არტ შოპენჰაუერი.

— ეშმაკმა გზიდოსთ შენ და შენი შოპენჰაუერიც მალე ვეინანგერზედაც მიგვითითებ— გააწყვეტია სიტყვა არჩილს ნიკომ.

— კაცო როგორ უნდა ერწმუნო მწერალს: სტრინბერგი „სულელის აღსარებაში“ ამტკიცებს თავის ცოლის ამორალობას და ბოლოს დაასკვნის, რომ ყველა ქალები სექსუალურ ამორალოსში დასტურდნენო.

ბოლოს როგორც იყო დავეთანხმეთ ერთი-მეორეს, რომ სიყვარული დიადი ვრძნობაა, რომელსაც უბრალო ქია ბორანოს ქვეშ შეუძლია მეფედ აქციოს, რომ ის მიიყვანს ადამიანს თავგანწირულებამდე.

— მეგობრებო! ყველა ჩვენგანს გვყვარებია, მოდი ვსთქვათ ყველამ პირველ სიყვარულზე. სერიო მაშინ იქნება, ტრახახობა დასტოვებთ თორემ ტყუილს მაინც შეეტყობა.

— კარგი, მაგრამ პირველად ვინ?

— აი მართლა საკითხი სავალალო და მალე გადასაწყვეტი— იოხუნჯა ვილაკამ. უარეს კენჭი და რიგი შეხვდა მხატვარს, რომელიც იმდენხანს საუბარში თითქმის არავითარ მონაწილეობას არ იღებდა. დიდხანს უარზე იდგა. მაგრამ ბოლოს დავითანხმეთ. ეტყობოდა თვითონაც ჰქონდა სურვილი ეთქვა, მაგრამ ქართველების ჩვეულებაა რომ შეეპატიჯონო.

— ბატონებო! დაიწყო მხატვარმა მე რასაც გეტყვით ეს ჩემი პირველი სიყვარული არ არის, მაგრამ ჩემ ცხოვრების ეპიზოდებში ყველაზე უფრო ღრმა კვალი დასტოვა და დიოხანს არ ამოიშლება ეს მწუხარე სტრიქონები ჩემი ცხოვრების მატანგანად.

II

მაშინ ვენეციაში ვიყავი, ბევრ თქვენგანს უთუოდ არ უნახავს მისი სილამაზე, მეც ვერას გეტყვით, როგორი უმწურო უნდა გქვენათ საბრალო მხატვარი. სიმშვენებით დაბრმავებული, რომ ვერ გაზორკვეულა უჩვეულო ჩთაბეჭდილების ილუმინაციისგან, მხოლოდ სიტყვის იმისთანა მხატვარს, როგორც იყო გეტე, შეეძლო გადმოეცა მისი სიმშვენიერე, მაგრამ როცა თვალთ უშზერ ვენეციის მშვენიერებას უფროულად გჩვენებთა უკვდავ პარნასელის ოქროს სიტყვებშიც კი. მე ერთი ღარიბ მხატვარიან ვიდექი. მთელი დღეები მუშაობაში

მიდიოდა, მხოლოდ მთვარიან ღამეს, თუ გამოვიდოდი სასეირნოდ. ვენეცია ხომ ტბებზე არის გაშენებული— მეც ჩაესხდებოდი გონდოლაში ლურჯკამეაბა ტბაზე ცოტა ჰაერი რომ ჩამესუნთქა, რადგან დღისით ძლიერ ვიღლებოდი. მეც ვაყოლებდი ხმას გონდოლიერის სევდიან სიმღერას და ვინ იცის ფიქრით კი სად დავჭკროდი ჩემი ოცნება მაინც ნაცნობ ადგილებსკენ მიჰქროდა, სად პირველად ვიხილე, ვიგეზე თუნდა სევდა და ურვა არსებობისა. ჩაღრში გამოხვეული სევდიანი მთვარე როგორც ავადიყოფი ქალწული თეთრის ზვირგანში ჰკრათოდა და შფერანის ფერ დაიდებს ადგამდა თავზე აპენინებს. მლოცავე ქურუმებებით აუღებელიყენენ მთები, ქალწულებრივი კდება-მოსილებით ვილაკას ელოდენ, მაგრამ ის იგვიანებდა მოლოდინის ზღვა გულში ვეგუებოდათ, ღმერთების შიკრიკი იღუმალი ნისლი მთებს ცით დანაბარებს უამბობდა, მაგრამ აღბად მწუხარე იყო ის ამბავი, რადგან მთები მწუხარებაში გაქავებულნი, მაინც სდუმდენ, თითქო ინახავენ საფლავის დემილისასო. ცის მეწაბული კამარა ტბას უერთდებოდა და როგორც მიჯნური ჰკონცინდა ცა ტბას ანკარა ტალღებს. სანახაობა სანახაობაზე ცვლებოდა. მე ეხლაც ჩამრჩა გულში რამდენიმე სურათი, მაინც რა შეედრებოდა ყელ მოღვრებულ გედს, სატრფოს მოლოდინშრ რომ ამაყად დასტურავდა და რა სატრფო იგვიანებდა სიმღერით დაუწყებდა ხმობას. იმ ეჟამდ მეც ვგრძნობდი რაღაც ალტყინებას, ჩემ თვალწინ იხატებოდა ის ქალი, რომელსაც ვანდეს სულის პირველი საიდუმლოება, ოკენან ცრემლების ...ოხ! ვით მიწოდდა მეც მეც მემღერა გედის სიმღერა.

მაგრამ მე სიცოცხლე მეძნდა.

ასე მიდიოდა პირველად დღენი ჩემი, იტალიაში ციოვრებისა. მე ვსწავლობდი. ხატვაში გკლავდი საშინელ სევდას, საფლავის ლოდივით, რომ აწვა გულს. ოხ! რამდენი ცრემლები მიღვრია მე მოგონებაზე და რა ეცოდი თუ შერე ის მოგონება შხამად გადიიქეოდა. არ დავიკვებებ, მაგრამ ჩემ ბებერ მასწავლებელს, რომელსაც არა თუ იმ უბანში, არამედ მთელ ქალქშიაც პატივსა სცემდენ ძლიერ ვუყვარდი და მაქმბდა კიდევ... საკვირველი არაფერია მე სევდა მკლავდა განშორებისა და სხვაში რაში ჩამეჭკლა ეს გზნება სულის თუ არა შემოქმედებაში... მაშინ რომ შემოსულიყავით ჩემ სამუშაო ოთახში გაგაკვირებდათ ჩემი ნამუშაოების სიმრავლე. ეტუოდები, ესკიზები ცხოვრებიდან, ბუნებებიან სხვა და სხვა პირთა სურათები, რომელთაც მე სამშობლოდან მიკეთავდენ ამშვენებდა ჩემ ოთახს. მაგრამ ერთი სურათი ყველას ყურადღებას

აპრობდა, მთელი ჩემი შემოქმედების ნიჭი, სულის  
•ლტყინება, ალტყება ამ სურათში ამოვქსოვე,  
მზათ ვიყავ საკუთარი სისხლი, მთოღვარე სისხლი  
მეხმარა საღებავათ, რომ უკეთესი გამოსულიყო.

იცი თ ვისი იყო ის სურათი?

ბევრი მხევეწეს გამოფენაზე გამომეზაუნა მაგ-  
რამ არ დავთანხმდი დიად მე ბევრი ჩემი, საკუ-  
თარი დავაქსოვე იმ სურათში.

### ტ. ტაბიძე.

(დასასრული იქნება)

### მგოხნის გოდება.

სიმები ჩაწყდნენ, ქვითნებს ჩანგი,  
მშვენების ქურუმს დამიგმეს ენა,  
გამრუდდა კილო, ჩანელდა ჰანგი,  
მოკვდა, ჩანაცრდა ზე-აღმაფრენა.

მე მზეს ვეტრფოდი, მზეს დიდებისას,  
უსახო იყო ჩემი ტრფიალი,  
მას ვუგალობდი ჰანგებს ქებისას  
ოცნებით მსურდა ზეცად სრიალი.

მსურდა ოზოლ სულთ იღუმალება,  
დამწველ სიმღერათ მე ამექარგა  
და, კაეშანი, უზნო წამება  
ლოცვის გოდებათ ვაღამეკარგა.

მაგრამ, ეჰ, ჩემი საბრალო მუზა  
მონა გამხდარა, შიშით ცახკახებს,  
ჩაქრა, ჩაფერფლდა ცეცხლი გუზგუზა,—  
ტკილ სიმღერებსა ვერ შემოსძახებს.

და, შენც სუსტდები ჩემო ოცნებაე,  
საფლავსა გიღებს მწუხარე ჰანგი...  
მაშ დაწყდენ სიმნი, ჩანარცხდი გრძნობაე,  
დე ცივ აკორდათ დამისხვრეს ჩანგი!

### ღარი ახვლედიანი.

### მესველრის წუთნი.

მშვენიერო! მხოლოთ შენით  
ესულდგმულობ და მიცემს გული,  
შენ ხატი ხარ, მე—სახატე,  
გვაკავშირებს სიყვარული.

წმინდა არის ეგ კავშირი,  
როგორც კრთოლვა გარიერაჟის,  
ვით უღრუბლო ცისა კიდე,  
მზის სხივებით მოღაეღაჟის.

წმინდაა ის, როგორც ტალღა  
მონარნარე ნაკადულის,  
სიცოცხლე და სასოება  
ჩემის სულის, ჩემი გულის.

მტკიცეა ის, განუწყვეტო,  
როგორც ჯაჭვი უკვადვების  
და უეკვო გზა და ხიდი  
სიამის და სიტკბოების.

დავიჩოქებ, ხელთ აღვაპყრობ,  
კრძალვით ჰირჯვარს ვადვისახავ,  
გულს სიწმინდე აღმიფრთოვნებს  
მყის, რა წამს შენ დაგინახავ.

შენ მოდიხარ, ჩემს წინ დგები  
მომლიმარი, ეშხიანი,  
ლალნი ბროლთა ვაუზიათ  
აღმასთ შეენისთ ყორნის ფრთანი.

გედივით ყელ მონაღერი  
ამაყი ხარ ვით არწივი,  
შენს სახეს ზედ დასთამაშებს  
სილალის და შეგების სხივი.

ოჰ, რა არის ეგ შეხვედრა!..  
ულიდესი ნეტარება!..  
შორს, შორს მიჰქრის კაეშანი,  
გულს სევედა არ ეკარება!..

ვით კამკამა ცისკამარას  
ვადეკვრება რიღე ზნელი  
მყის ბუნება იღვრიმება,  
დგება დარი საზარელი.

მზას ჩაიწყვეტს მაყრიონის  
მომღერალი ფრთოსანთ გუნდი,  
ყველგან მეფობს კაეშანი...  
გლოვის ძაძა... სევედის ხუნდი...

ცის კამარას ედარება,  
მშვენიერო, შენი სახე!  
მასაც რიღე ვადეკვრება,  
თუ დაგიგო მტერმა მახე.

ჩვეულებრივ ლოცვას ვიწყებ:  
კრძალვით ჰირჯვარს ვადვისახავ,  
გული ტოკავს მოუთმენლად,  
ვფიქრობ,—მაღე დაგინახავ.

მაგრამ, ვაჰმე!.. ჩემს წინ ვხედავ  
ცხოვრების ცას ვადათალხულს,  
ვკრთები, ხელი მიშეშთება  
ერთხელ ჰირჯვარ ვადისახულს.

გხედავ არ ხარ ჩვეულებრივ  
მომლიმარი, ეშხიანი,  
სახეს ჩრდილი ვადაკვრია  
გულს გიმძიმებს კაეშანი!..

ვიცი, მეზი უღმობელი,  
ცის ღრუბელთა უღვთოთ მჩეხი,

ლამის წყდიადს ცეცხლით ჰშურავს პირ მწველი და პირუტყვი.

გადააფხრეწს ცას პირბადეს, ხმაღს გაავლებს ყველგან მკვეთრად, ფრთებს აუწყობს ველად ნიავს გარიჟრაჟის შესახვედრად...

მაშ, მეც მესხა დავედრები: ავენთები, როგორც ელვა, რომ ჩავისრო ვარს ბურუსი და წყვდიადის მკაცრი ღელვა.

ცხოვრების ცას, ძაძით მოსილს, ჩამოგზადო ბნელი რიდე, გარიჟრაჟის შესახვედრათ ზე ავშალო კიდით-კიდე.

ვინძლო მაშინ შენც შემომხვედვ მოღმიარბი, ეშხიანი ალამს გაშლის ნეტარება... ფრთებს დასწურავს კაქშანი...

5. ზომღეთელი.

კვირიდან კვირამდე.

20 თებერვალს ქართულ დრამატული საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელი წარმოდგენა გამართა. სეზონი გათავდა და გამგეობამაც გუდა ნაბადი აიკეცა და დიდი, მუყაითი და ენერგიულ შრომის შემდეგ განსასვენებლათ განემზადა, საბრალო ჩენი მსახიობნი „განწმენდის სასახლეში“ შევიდნ და „შვიდეულის“ ასაღებათ მოემზადნ. მუდამ მშინერნი მსახიობნი დიდ მარხვის პირველ კვირიდანვე შეუდგენ განწმენდას „ქრონიკულ სიმშლიისათვის“. ეს მუდამ ასე ხდება და აუცილებლათ ეხლაც ასე უნდა მომხდარიყო. ზამთარში ასე, თუ ისე ჩვენ მშინერ მსახიობთა კუქებს საფუქვავი აქვთ, იყარებიან ასე თუ ისე, მაგრამ თავდება თუ არა ზამთარი მათი კუქებიც საგრძნობლათ ხმებიან. სწორეთაც ამაში გამოიხატება დრამატული საზოგადოების გამგეობის მოღვაწეობა, ასე იქცეოდა ის წინათ, ასე უნდა მოიქცეს ეხლაც, ასე მოღვაწეობდა ძველი გამგეობა, ასე მოღვაწეობდა ახალიც. რაში გამოიხატა ახალის უმთავრესი ღვაწლი? წრევანდელ სეზონის განმავლობაში ხალხი უფრო ეტანებოდა თეატრს წარმოდგენები რიგიანათ იღვმებოდა, მაგრამ ყველა ეს გამგეობას არ უნდა ჩათვალოს ღვაწლში, აქ უმთავრესათ უნდა უმაღლოდეთ, რეჟისორის გამარჯვლ და მუყაით ხელს. გამგეობა აწოდებდა მას ბევრ უხვირო პიესას, რეჟისორი კი სულს უდგამდა მაგრამ საქმე ამაში არ არის, თუ გამგეობამ მსახიობთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რეპერტუარის შედგენაში და სხვა ვერ გამოიჩინა ფხიანობა,

სამაგიეროთ მთელი სეზონის განმავლობაში ორი დიდი საქმე გააკეთა: გამართა სამოღვ საღამო-მეჯლისი და გამგეობის მოღარეთ დანიშნა კაცი კომერციულ ნიჭით აღჭურვილი. როგორც გამოცდილი „აფთექარი“ ბნი მოღარე საბრალო მსახიობებს მთელი სეზონის განმავლობაში ჯამაგირს მისხლობით უწონავდა, ხოლო კანდიერ სიტყვებს ფუთობით, ძნელათ გადარჩა ისეთი მსახიობი რომ მისი რისხვა არ ენახა. (ეს არ უნდა ჩათვალოს ბნი მოღარეს ცოდვათ, რადგან ძნელა რაიმე ჩვეულების მოშლა). ამ გვართ, ქართულ დრამატულ საზოგადოების გამგეობამ „აფთექარეს“ მოღარეთ დანიშნით ფრიად წინ წაიყვანა თეატრის საქმე და მისი მატერიალური მდგომარეობა, ღრმა კომერციულ ნიჭის წყალობით, სასურველ ნიადაგზე დააყენა. ამ მხრით ფრიად დიდია გამგეობის ღვაწლი.

არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ლიტერატურაში ბნი ხეჩუაშვილს. მართალია ჩვენში დღემდე ბევრი დრამა, მოთხრობა და ლექსები დაწერილა, მაგრამ ისეთი ტანჯულ გვემუღა და ცეცხლში გატარებული დრამა, როგორც ხეჩუაშვილის „დარბეულნი“ ჩვენს ლიტერატურას არ ღირსება. ნამდვილ დრამას, ნამდვილ ტრადედიას, რომელიც თვით ავტორს და მის დრამას გამოუტლია, თქვენ ხედავთ დრამის წინასიტყვაობაში. ამ „დრამა—წინასიტყვაობის“ შინაარსი შემდეგია: თვით მთავარი დრამა „დარბეულნი“ ასი წელიწადი იბადებოდა ხეჩუაშვილის ტენის საღაროში, ათი წლის შემდეგ ის კალმის წყარზე მელნათ გადმოვიდნა და ქალაღზე გადავიდა. აი აქ იწყება დიდებული კვანძი თვით დრამისა. ასი წელიწადი ედინებოდა ქალაღზე ეს დიდებული დრამა. ათი წლის შემდეგ იწყება ამ დრამის მოგზაურობა. არ დარჩენილა თფლისში არც ერთი პუბლიცისტი (გარდა ფ. გოგინაშვილისა) არც ერთი ბელეტრისტი (გარდა ლ. მეტრეველისა) არც ერთი პოეტი (გარდა არარატელისა) არც ერთი დრამატურგი (გარდა გლახაშვილისა) არც ერთი რექტორი (გარდა როსტომაშვილისა) არც ერთი მესტამე—გამომცემელი (გარდა კ. თავართქილაძის და ზ. კიკინაძის), რომ ეს დრამა არ ეჩიქნოს“. ათი წელიწადი „ცნობის დურცელმა“ ჩიქნა, ათი წელიწადი მ. განჩივათამე ჩიქნა, ათი წელიწადი ირე თელმა ჩიქნა, ათი წელიწადი „იერიამ“ და ბოლოს ორმოცი წლის შემდეგ სულ მთლათ დაჩიქნილი დაუბრუნდა ბნი ხეჩუაშვილს. ასეთ ნაგვემ ნაწამები დრამა მან შეაკოწიწა და ცალკე წიგნათ მოუვლია ნი ქართველ ტენს. ქართულ ლიტერატურას შეეძინა ხეჩუაშვილის ტენის საღაროდან გადმოდენილი დიდებული განძი. ეკვი არაა ქართველი მკითხველი საზოგადოება ღირსეულათ დააფასებს ხეჩუაშვილ—დრამატურგის უკვად ღვაწლს.

## ჩ ა ჰ ქ რ ა დ ი ლ ა

მახსოვს დილა მოციმციმე, შვების ცრემლით ანათროლი,  
ციურ მნათობს შესცინოდა, უკუნეთთან შენაბრძოლი.  
წალკოტს გული მოექარგა მძივად წყობილ აღმას-ნამით,  
ირგვლივ არე მოხიბლული ნეტარებდა ლხენის წამით.  
მზის სხივებში ჰბანაობდა ვარდ-ზამზახი და ბილილა...

მახსოვს დილა, შვების დილა!..

ცა დღლავდა, ლურჯ ეთერში ოქროს ტალღებს ატოკებდა,  
ცის ზეფირი ფრთა გაშლილი ვარდათ ფურჩქენილ სხივებს ჰკრებდა  
და შუქ-ნაფეთქ დედაშიწას დააბნევდა ყვავილთ კონაღ,  
სიხარულის დასაპყრობად, სიცოცხლესთან შესაკონად.  
თან სოფელიც მომავლისთვის უკვდავების გვირგვინს სწნავდა...

ცა დღლავდა, ცა ელავდა!..

საუკუნეთ განაქვდი კაცთ ბორკილი იმსხვრეოდა,  
ძველი ქვეყნის ძველი ჰანგი ახალ ჰიმნში ინთქებოდა.  
გულში ნაგუბ სულის სწრაფვა ფრთა-შესხმული ზეცად ჰფერნდა,  
მომავლისა ნაპერწკალი შორეულ ვზას ნათელს ჰფენდა.  
ბრძოლის ცეცხლში იცვლებოდა უკულმართი მონის ბედი,—  
საუკუნეთ განაქვდი!..

ახლად შობილ ახალ ჰანგსა უთანხმებდნენ გულის ძგერას,  
საბრძოლველად უყოდნენ დაუნდობელ ბედის-წერას.  
ამაყ გრძნობით გამსქველულნი ნათელ მზისკენ მიილტვოდნენ,  
ციურ არსთა საგალობელს დედა-შიწას უგალობდნენ,  
და მგონებიც სასოებით აქსოვებდნენ ოქროს ჩანგსა—

ახლად შობილ ახალ ჰანგსა!..

მგრამ ქვეყნელთ სამყაროდან უცებ ქარმა დაიქროლა,  
ღრუბელთ გროვა წამოშალა და მზის სხივებს შეგებრძოლა.  
გამარჯვების თაიგული უკუნს შერთო, გაამტვერა  
და შესცვალა მწარე კენესალ ტკბილი ჰანგი და სიმღერა.  
სულის ოცნების ფრთა წაქრა და წარიღო შავმა მტერმა—  
ქვეყნელიდან მონაბერმა!..

და დაირდილა შვების დილა წუთიერად ანათროლი,  
ცის-კიდურზე გამოსახა შავი ღრუბლის შავი ზოლი.  
წალკოტს მკერდი დაუბნელა, აცალა ვერცხლის მძივი,  
ირგვლივ არე დააბნელა, ჩაუფერულა ზეცას სხივი;  
შავ-ბნელ ნისლში მოამწყვდია ვარდ-ზამზახი და ბილილა,—

ჩაქრა დილა, შვების დილა!

ს. აბაშელი.

# ქუჩაში.

(ამბავი).

ბნელ და ნესტიან სარდაფში ძველ კონკრეტში შეფურანული მაშკო, ერთად ერთ ავადმყოფ პირ-მშო, ვაგს უჯდა თავსასტუმალში და უიმედოთ აცეცებდა თვალებს; ის ხან ერთ კეფელს მიაშტერდებოდა, ხან მეორეს ხან ჭერს მიაპყრობდა უსიციო-ხლო და უჭინარ თვალებს, ხან კი იატაკს, მხოლოდ ქმრის სიმონას შეხედვას კი ვერ ბედავდა; ვი თუ საყვედური „ამოიკითხოს ჩემს თვალებშიო“, ფიქრობდა ის და თვალს არიდებდა. სიმონა კი გაქვავებული იჯდა, მისი სულისთქმაჲ კი არ ისმოდა. ცეცხლი ტრიალებდა ორივე ცოლ-ქმარის გულში.

— დედა, მშოა დედა! მოისმოდა ხშირ—ხშირად მომაკვდავ გოგიტას მკენესარი სუსტი ხმა. ეს ხმა გულს უფათრავდა უბედურ დედას.

ნორჩმა არსებამ ვერ გაუძლო მუდმივ შიმშილს, ჩამოდნა წინდა სანთელივით, სახე გაუფითრდა და თვალები ჩაულრმავდათ.

— მიკვდება შვილი, მიკვდება პირმშო, შიმშილით მიკვდება! მწარედ ამოიკენესა თვითონ შიმშილით ქანც, გამოლეულმა დედამ და ცრემლთა ნაკადი ჩამოედინა მის ფერმკრთალ და გამბთარ ლოყებზე

— ღმერთო, ღმერთო! წამოიღრიალა აქამდე გაქვავებულმა სიმონამ და ელდა ნაკრავივით წამოიქრა ზევით.

— ნუ თუ ერთი ნატეხი პურს ვეღარ ვიშოვი, რომ სული შევარჩინო ჩემს შვილს, ჩემს სისხლსა და ხორცს?! ვიშოვი, ვიშოვი! თვითონვე მიუგო გადაქრილი პასუხი თავის თავს და დაქუქნულ ქულს წაავლო ხელი.

— მე ვიშოვი პურს, გვაჩენ! კიდევ გაიმეორა მან მტკიცეთ და გადაქრით და საჩქაროთ ამოძვრა სარდაფიდან.

## II.

ღამეა. სიმონა გამოძვრა ქუჩაში შემინებული, აქე იქით მიიხედ მოიხედა და გაუბედავის ნაბიჯით გასწია წინ; ცოტა გაიარა და მეორე ქუჩაში შეუხვია. სიმონა უცებ შეკრთა, მან ცოტა მოცილებით პოლიციელი დაინახა; უნდოდა უკან მობრუნებულიყო და მიმალულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა და იქვე გაშემებული შედგა.

— ეი, ვინ ხარ შენ, მანდ რომ გაჩერდი? დაიღრიალა პოლიციელმა და სიმონასაკენ გადადგა ნაბიჯი.

— მე...მე...მე ვარ, ძლივს მოახერხა ენის მობრუნება სიმონამ და მთელი სხეული აუკანკალდა.

— ვინ შენ? ხელახლავ შეეკითხა პოლიციელი და ცხვირის წინ აეტუზა შიშით შეტყობილი სიმონას.

— მე...მე მუშა ვარ... ისე შეეჩერდი.

— მერე რას კანკალებ?

— არა.. მე არ ვკანკალებ.

პოლიციელს იქვი ქვეპარა.

— შენ გეტყობა არა ხარ პატიოსანი სული, რა არის ის, ილღიაში რომ ამოგიღვია? მრისხანდ შეეკითხა პოლიციელი.

— ეს... არაფერი... ეს ჩემი პატიოა.

— დაუჯერებელია. შენი პატიოთ თუ იყოს ტანზე გეცმება. მოიტა აქ! მრისხანე კილოთი უბრძანა პოლიციელმა და ხელი გაუწოდა.

— ნუ, ნუ, ღვთის გულისათვის!.. ცრემლი მორეული შეეგდრა და უკან დაიხია.

— აქ მოიტა მეთქი! უფრო სასტიკათ შეუყვირა პოლიციელმა და პალტოს წაავლო ხელი.

— სიმონამ პალტოს ხელი გაუშვა და ის იყო გადადგა ნაბიჯი. გასაქცევათ, რომ პოლიციელის მძლავრმა ხელმა ის ადგილზე გააქვავა.

— გაქცევას აპირებ? დაცინვით შეეკითხა პოლიციელი. ტუქული ფიქრია, ვერსად წახვალ, საპოლიციო ნაწილში უნდა წამოხბანდე.

— ნუ, ნუ, ღვთის გულისათვის... შემობრაღე. შეიბრალე ჩემი დამშეული ცოლი და შვილი. ორი დღეა მათ პირში ლღუმა არ ჩაუღვიათ, შემიბრალე, საცოდავის კილოთი ევედრებოდა სიმონა პოლიციელს. მე პატიოსანი კაცი ვარ.., პატიოსანი მუშა ვარ, მაგრამ ეს უკანასკნელი ხუთი თვეა უადგილოთ ვარ... ცოლი და პატარა შვილი, ნორჩი ბავშვი შიმშილით მიკვდება... მაპატიე, მაპატიე ღვთის გულისათვის!..

— გეტყობა რაც პიტიოსანი ბრძანდები. პატიოსნები ღამ ღამობით სხვის ბინებში არ დაძვრიან და ძვირფას ქურქებს არ იპარავენ. წამოდი პოლიციაში.

— ნუ ღვთის გულისათვის, იწამე ღმერთი, შემიბრალე, განაგრძობდა მუდარას სიმონა, მაგრამ მისი მუდარა ისეთ არ წვდებოდა პოლიციელის გაქვავებულ გულს, როგორც ზარების სამგლოვიარო რეკა პირდაღებულ სამარეში ჩასაშვებლ გამზადებულ მიცვალებულს.

— პოლიციაში წამოდი და იქ გაპატიებენ, ცივდ და უგრძობლად უმასუსხა პოლიციელმა, საბრალო სიმონა საპოლიცია ნაწილისკენ წაიყვანა. მიიყვანა და უბნის ზედამხედველს ამაყად მოახსენა:

— ქურდი დავიჭირე თქვენო მალაქეთილშო ბილგება, ქურქი მოუპარავს.

უზნის ზედამხედველმა ზიხლით გადახედა სიმონას და გულის ამღვრევი კილოთი დასცინა

— აა, მაშ ვაები მახეში?... ვერ გკოდნია ხელობა მოხერხებულათ, რაღა მაინცა და მაინც პოლიციელს ჩაუვარდი ხელში?... შენი ბრალია. ფრთხილად რომ ყოფილიყავ, ეგ არ მოგივიდოდა, ახლა კი ოქმს დავსწერ და მერე კი შენ იცი და მომრიგებელმა მოსამართლემ. შენ კი ბელოუსოვ, მიუბრუნდა პოლიციელს ზედამხედველი, მადლობას გიხიდი ყოჩაღი და ერთგული სამსახურისათვის ახლა წაიღი ისევ შენს ადგილას, ამას — სიმონაზე ანიშნა — ჩვენ მოუვლიათ.

ამ სიტყვებით უზნის ზედამხედველი მაგიდას მიუჯდა, ქალადი ამოიღო და კალამი ააწრიბინა. შიშით გონება არეული და აცახცახებული სიმონა კი გაშეშებული იდგა და მოუთმენლად მოელოდა ზედამხედველის სადღეისო განკარგულებას.

— შენი სახელი და გვარი? მკვახეთ შეეკითხა სიმონას ზედამხედველი.

— სი...სიმონ ბედშავაძე,—ძლივს წამოიღულულულა მან.

- სარწმუნოება?
- მართმადიდებელი ვარ.
- სადაური ხარ?
- არდათის საზოგადოების.
- ხელობა?
- მუშა გახლავარ, მარა ეს უკანასკნელი ხუთი თვეა უადგილოთ ვირ.

- ხუთი თვის წინედ სად მუშაობდი?
- ბალტოვის ქარხანაში.
- მერე რისთვის დატოვე ადგილი?
- დამითხოვეს ფაფიცვაში მონაწილეობის მიღებისათვის.

— აჰა, მესმის, მესმის .. მაშ მუშაობა მოგებურდა და ქურდობას შეუდექ არა? კარგი ხელობაა, იოლი. მაგრამ სიფრთხილვე კი არის საჭირო. პოლიციელს უნდა ერიდო, შორს უნდა მოგუარო, დაცინვით უპასუხა უზნის ზედამხედველმა და ოქმის წერა განავრძო.

— მე...მე ქურდი არა ვარ, კანკალით ამოიკვცესა სიმონამ.

— „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“ ნათქვამია. მაშ ვინ მოიპარა ეს ქურქი?

— ეს...ეს...მპატიეთ, ბატონო ზედამხედველო, მპატიეთ, გვევდრებით. პატარა ნორჩი შვილი შიმშილით მიკვდება, ცოლიც შიმშილით ძალა მიხდის ფეხზე ვეღარ დგას და ამან ჩამადენია ეს საზიზღრობა. მპატიეთ, გვევდრებით; იწამეთ ღმერთი!...

— მომრიგებელი მოსამართლე ვაპატიებს, ცივით უპასუხა უზნის ზედამხედველმა და ოქმის წერაც დაათავა.

— ჯერ-ჯერობით კამერაში დამწყვედიეთ ეს ვეზბატონი, — გასცა განკარგულება უზნის ზედამხედველმა და ულვაშებზე გადისვა ხელი.

განკარგულება იმ წუთშივე შეასრულა იქვე მდგომმა ჩსუქებულმა დაბალი ტანის პოლიციელმა. კამერაში საშინლად ბნელდა. სიმონამ ძლივს მონახა ერთ კუთხეში მიდგმული ვიწრო და მოკლე ფიცრის ტახტი და ზედ უიმედოდ დაეშვა.

— ღმერთო ჩემო, ეგ რა მომივიდა? ამოვიგინა მან და დაღუბდა; შავმა ფიცრებმა და ათასმა მოვონებამ წარიტაცეს მისი სული და გული. მოაჯონდა თუ რამდენი იწანწალა, რამდენი ეწამა და ეწვალა დილიდან მოკიდებული საღამომდე, რომ პატარა პურის ნატეხი ეშოვა გოგოტასთვის მაინც. მთელი საათი ევედრა მეპურეს, რომ ერთი შაურის პური ენისიავებია, მაგრამ აშავო იყო მისი ვედრება.

„პატარა ნაქერი მაინც მომეცია“ შეევედრა ბოლოს, მაგრამ ნოთმინებიდან გამოუსულმა მეპურემ მაგარი მუჯლუგუნე კრა და დაცინვით და ლანძღვით კარში გამოავლო. იქედან იმედ გაცრუებულმა ქუჩაში მომავალ ღიბიან ვაჭარს გაუწოდა ხელი და მოწყალება სთხოვა, მაგრამ ვაჭარმა ყურადღება არ მიაქცია; სამაგიეროთ ეს იქვე იქვე მდგომმა პოლიციელმა შეამჩნია და პოლიციაში წააყვინთ დაემუქრა. მოაჯონდა ყველა ეს და გულო დასერილი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა.

— ღმერთო, ღმერთო! ნუ თუ საშველი არ არის, ნუ თუ შიმშილით უნდა მომიკვდეს შვალი, ცოლი? . რაღა ვქნა, ვის მივმართო? . ყველას თავი მოვაბეზრე, ყველასგან დავალეებული ვარ. ამახანაგებსაც შეგზარდი, ჩემს შეხვედრასაც კი ერიდებიან, გვერდს მივლიან და თვალს მარიდებენ. ან რა ქნან? რამდენიც შევძლოთ მეხმარებოდნენ, მაგრამ ბოლოს მთაც მობეზრდათ. ღმერთო, სად არის საშველი, სად? საწყალი და საცოდალი მაშეიკა! ის სახლში მოუთმენლად მიმუღის, მას გონა პურს ვიშოვი და მივიტან და მე კი... ღმერთო ჩემო, ალბათ გოგოტა ახლაც ისეთ გულის შემშარავათ კვენისის, მშია, მშიას იძახის, იქნება შიმშილით სულიც... აჰ, არა, ეს არ შეიძლება!.. ღმერთო ჩემო, ნუ თუ შეიძლება, რომ გოგოტა, ჩემი გოგოტა არ დამხედეს?.. არა დამხედება, ვნახავ, გულში ჩავიჭრავ და მაგრად ჩავკოცნი... მაგრამ როდის, ეს როდის იქნება?.. მე, მე ქურდი ვარ, ქურქი მოვიპარე!.. ეგ რა ჩავიდინე, სად გამოვჩნდე, ამახანაგებს როგორ დავენახო, ჩემს მაშეიკოს რა თვალთ შევჭედო შე-

ურაცყოფილმა, თავს ლაფ დასხმულმა?!. ღმერთო, ღმერთო!.. თავს ბრუ მეხევეა, გონება მერვეა, სული მეხუთება... ქურდს დამიძახებენ, თითოთ საჩვენებლად გამხდინან. მერე ვისი ბრალია, ვინ ან რამ მიმოიყვანა აქამდე?.. არა აწი მე ამ ქალაქში დარჩენა არ შემძლია, უნდა გავიქცე აქედან, უნდა გადავიკარგო საღდაც შორს, შორს და იქ გამოვიყოლო ჩემი დანაშაული, როგორც კი გამანთავისუფლებენ გავიქცევი, წვაღა... მაგრამ სად ან რით? შიმშილით ვიხოცებით და პურის ნატეხი ვერ გვიშოვია, ახ!.. არა, არის საშველი, არ არის ხსნა! სასოწარკვეთილი ამოიგმინა ეს უკანასკნელი სიტყვები და პირქვე დაემხო ტახტზე. შვიი ფიქრები კვლავ დასტრიალებდნენ თავს და იმედს უსპობდნენ, გულს უსვარდნენ.

ცის კაბადონზე დინჯათ მომკურავ მთვარის ერთი სხივი კამერის ფანჯარაში ჩაშენებულ რკინის ბადეში შემოიჭრა და ბნელეთით მოკლული კამერა მკრთალთ გაანათა.

სიმონა ბედშვიდი თოფ ნაკრავით წამოვიარდა ტახტიდან და კამერაში მიიხედ-მოიხედა, შემდეგ ჰერს ახედა და უცებ გაიღიმა, თითქოს მაშველი ღუზა იპოვაო.

III

მაშეიკოს მთელი ღამე არ ძინებია. სიმონას დაუბრუნებლობა და გოგიტას გულის და სულის მომშხამველი კენესა, მისი „ღღღა, მშაი ღღღა“-ს ძახილ წყლულს უათასებდა და გულს კემნით უსვრავდა საბრალო ქალს.

— ნეტავ რა მოუვიდა ჩემს სიმონას? შეშინებული ეკითხებოდა თავის თავს და პასუხი ვერ მოენახა, ვერ მოეფიქრა. ვაი თუ ბოროტმა სულმა შეაცდინა და ცუდი რამ ჩაადენია?! რაღა ვქნა, რა მოუვიდა?..

ათასმა, ერთი მეორეზე უსაშინელესმა ფიქრებმა გაუღევეს მაშეიკოს თავში.

— ღმერთო, რაღაც კარგი ამბავი არ არის ჩემს თავზეო, წამოიძახა მან და დილა-ადრიადად წამოიჭრა საწოლიდან. საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა თავისი ძველი კონკები, გულში ჩაიკრა მომაკვდავი შვილი და სიმონას საძებნელად გაქანდა. ახლო-მახლო ქუჩები შემოიბრინა შიმშილით დაუძლოურებულმა ქალმა, საპოლიცია უბნებში ეძებდა და ბოლოს მეშვიდე უბანშიაც მივიდა. იქ მაშეიკოს უთხარეს, რომ მისი ქმარი წუხელ დაიჭირეს ქურდობისთვის.

— ჩემი ქმარი, ჩემი სიმონა ქურდი?! ღმერთო, ღმერთო, ბუტბუტებდა საცოდავით გულმო-

შხამული ქალი. არ სჯეროდა თუ სიმონა ქურდობას ჩაიდენდა.

— მანახეთ, მანახეთ, ღვთის გულისათვის, შევედრა მორიგ უბნის ზედამხედველს: მანახეთ ჩემი სიმონა... როგორ შეიძლება, რომ მას რამე მოეპარა?! არა ეს შეუძლებელია... ის პატიოსანი კაცია, პატიოსანი მუშა! მანახეთ თქვენი კოლმეხლის დღევრძელობამ, ქვეთინით ევედრებოდა მაშეიკო და პატარა გოგიტას უფრო მაგრით იკრავდა გულში, თითქო ეშინია რომ ვინმემ არ წაართვას მისი პირშიო ვაჟიო. გოგიტა კი განაგრძობდა კნესას: „მშაი, მშაი ღღღა, პური მინდაო“.

მაშეიკოს ვედრება ისმინა გულქვა პოლიციელმა და განკარგულება მოახდინა ხუთი წუთით შეეშვათ ის სიმონასთან.

პოლიციელმა კამერის კარები გააღო და მაშეიკო გაუშვა წინ.

შუა კამერაში სანთლის დასაკიდებელ კაკვზე სახე გალურჯებულ აფუებული და თვალბ გაღმობი კარკულული ეკიდა სიმონა ბედშვიდი.

— ვაპ-მე!— შეჰკვილა მაშეიკომ და გულწასული დადებთქა იატაკზე. მაშეიკოს კვილის იატაკზე დანარცხებულ მომაკვდავ გოგიტას უკანასკნელმა ამოძახილმა მისცა ბანი.

ი. ჭავჭავნიძე.

14 იანვარი 1911 წ.  
ქ. მოსკოვი.



\* \* \*

ცას გადაკვრია შავი ღრუბლები დაღუმებულა მთლად არე-მარე, მიწა შეჰყურებს ცას განრისხებულს სულ გაკმენდილი შიშით მითრთოლვარე.

მას აღარ უჩანს ლაყვარი ფერი და მზეც აღარ ჩანს სხივის მფრქვეველი, ყოველგან მეფობს უკუნი ბნელი გულის დამწველი და დამდაგველი.

ელვა, სიბნელით თავ-აშვებული ყოველსა მხარეს მიმოსრიალებს, შეუერთდება შავ ღრუბელთ გუნდთა აახმურებს, აავრიალებს.

ტოროლა ზეცად აღარ ნავარდობს, და შაშვიც აღარ უკრავს სლამურს დაღუმებულან გაჩინდებულან, რადგან ვერ ხედვენ დიღას საამურს.

მაგრამ იმედი ისევ სულდგმულობს, — ღრუბლები მალე გაიფანტება და ცისარტყელა შვიდ-ფეროვანი ცის ლაქებარ გულზე გაიკლაკნება.

ბუღბუღი მალე ჩამოჰკრავს სიმებს, ვარდის ღეროზე შეიფრთხილებს და მწარე სევდა, სულს რომ ამძიმებს სამოთხის ხმებით გაიწკრიბლებს!

გ. კურცხალია.

ოდეს სრუბ ღელავს...

ოდეს ზღვა ღელავს, ზღვა შედარა ფაფარ-აწრდა, ზეირთა ზეირთს კრძქის, ტაღა ტაღას ეტყუასმუქებს, დრალ-ღაღაღით შიმოქროლავს გაფრთხულებს, თათქოს სტაქიას, — სეღის ძაღებს ესუბრებს... ოჰ! რა კარგა... რა რაგ მიუყარს ტქქარა შე მისა, მანდა მქქარას... შიმოქრავის ტქბაღ სიამისა!..

ჩემო მშვენიერს ნუ შეგაგონებთ ზეირთების მთება, კეშის ზღვაზე აცურავს თბილი ნაფა, გულს ნუ გაგიტყის სეღის ნანა, გლოვის ხმები, სეღე მოსწიყ, მოსწიყლავა მომართო მკლავი. მკატრის ქანთხადს მიუშვიროთ ფაქალი მკურდა და, დაბრუნების ქარ-ტქხალზე გაღაფაროთ; დეე! გეშუხობდეს, გეღაღატობდეს უეშეხა ბედი დროშა ბრძოლისა არ დაუშვან, ძირს არ დაგხაროთ... სკანთიდა ჭიმი შეეთხზათ, ჭიმი შეუბის, და, ზიოველ სისავსე დაჯარვით გულის ნადები, დეე აკეორდი უცხო იუთს ნეტრბისა, რომ შიგ ადარ წნდეს ჩეენა ბადმა, ჩეენი დარდები. და, წინ გაესწით, წინ ვიარათ ჩემო სულის დგმავ, დროთა ბრუნავში ჩავაქსოვით სწრაფავს სულისა, ნუ დაღობდები გულის ვარდა, სულე თრუნავს, ნუ შეგაგონებდეს დღენი ჩეენი დასსუღლისა. დეე! სიკვდილი ცელ-გაწვილი გეშუქრებოდეს, რა შეის გეტეორენიდას, რა, მაწიზე განსისუბლეთ... ჩეენსა გარშემო ეფაღაფეე თორგუნებოდეს, ზღვა სუსტს ნავს გეძირავდეს დაქაფეუბი. ოჰ! მანინა ნუ აკეშლებს ფიქრები შვი, სიკვდილის შიში სიკვდილის შვიდთ ნულა გექქებს, და, ბრძოლის დროშა არ დაუშვან, სინამ ტლე ნეე ჩეენის ცხოვრების სამუღამით არ დაინთქება.

ბ. პელაშვილი.

თეატრი

ჭიათურა. 13 თებერვალს აქ წარმოადგინეს ნათარგმნი პიესა „სამხედრო ბანაკში“. წარმოდგენამ საზოგადო მოწვევივით ჩაიარა და დიდათაც ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება, რომელიც წარმოდგენას ბლომათ დაეწერა.

განსაკუთრებით კარგი იყო ბ. ბ. ტარუაშვილი, ბურჟუაზი და ნუტუბიძე და ქ. ქილარჯიშვილი. ტარუაშვილმა საუცხოვოთ დაგვიხატა ვანისიტრ-ფოლკარტის ტრადიციული მდგომარეობა, რაც გამოწვეულია იმისგან, რომ მას ერთთ ერთი ცხოვრების მიზანი, საყვარელი ქალი გაუპატიურეს. მას უნდა პატიოსნება დაიცვას იარაღით, მაგრამ მოწინააღმდეგე ამის ღირსათ არ სცნობს; მას ისლა დარჩენია გაიქცეს ქალთან ერთთ და დამილოს საზიზლარი ადამიანების თვალბისგან შორს, მაგრამ ქალი არ მიყვება. ის ამას ვეღარ იტანს და თუ მის შეურაცხყოფელ უფროსზე ვერ ძიობს შურს, ქალიშვილი ანგარიშ მიუტკემათ ჰკლავს... ტარუაშვილმა ყველა ეს გრძნობით დახატა ის ისე გრძნობით ლაპარაკობდა, ისე ბუნებრივთ იქცეოდა, რომ გვეგონებოდა მართლა ჰკლავს შეცდება, მართლა მოჰკლავს ვინმეს, მართლა ტირის მისგან მოკლულ შეილსა და სხვა...

ბ. ნუტუბიძემაც მშვენივრათ დაგვიხატა ვიცე ვანისიტრი-კვიისი. ბ. ნუტუბიძეც, როგორც ტარუაშვილი, კარგა ხანია მუშაობს სცენაზე და მისი ტალანტი გამორკვეულია. ის კარგი კომიკია და თუ ხანდახან ის ტრადიციულ ან მეშინურ როლებსაც აიღებს ხოლმე, ეს მისი შეცდომა და ნაყოფილევენებათ უნდა ჩაითვალოს. დღეს კი ის თავის როლში იყო. მას შეეგნო კვიისის როლი. კვიისი ცხოვრების გერია, მაგრამ მისი მზიარული ბუნება შორს არი დარდისგან, აფურთხებს ადამიანებს და განსაკუთრებით ქალებს (მას ცოლი გაექცა) და უმეგობრდება პირტყეს—ცხენს. ამავე დროს ის მარჯვე და მოხერხებული კაცია: როდესაც მოხუცი ვაიციშვილის გაუპატიურებას სასამართლოში და ანგარიშ მიუტკემათ იწყებს დამნაშავეზე, ის თვალის სისწრაფით ჩნდება შუაზე და ისე აჩერებს ვანისიტრს, რომ მოსამხაურენი ვერც იგებენ რა მოხდა, ის კი უტბათ უხსნის: „როტმისტრს გული შეუწუხდა და მივეშველე არ წაქეუელიყოვ“.

ამ მომენტის დროს მთელი აუდიტორიის ყურადღება ნუტუბიძემ მიიპყრო

ქ. ქილარჯიშვილი დღეს შესაფერ როლში იყო და ჩვეულებრივ. მან საცხებით შესძლო გადმოეცა კლარას სულის კვეთება. ამ ქალის მდგო-

მარგობაც ორ ცეცხლ-შუა ხრავდა: ერთი მხრით ეცოდნება მამა და დანიშნული და მეორე მხრით იტაცებს ლაუფენის სიყვარული. ის მზათ არი თავი შესწიროს მამასა და საყვარელსაც და ამ წინააღმდეგობაში მართლაც იღუპება. ამ მომენტებში მისი და ტარუიშვილის შეერთებულმა თამაშმა ბევრი ცრემლი ჩამოაგარა დამსწრეთა თვალებიდან. კარგი იყო ბ. გოგიბერიძეც.

საუცხოვოთ შესარულა ლეიტენანტის ღენშჩიკის - მიხაილევის როლი ბურჟუაზიამ და ძალიანაც აცინა საზოგადოება. განირჩეოდენ აგრეთვე გომელაური (თავჯდომარე) და ანთელიძე (მიიორი). დანარჩენები ანსამბლს ხელს უწყობდენ, აქვდა უნდა ითქვას, რომ ბ. ჯაფარიძე (ლეიტენანტ-ლაუფენ) ვერც ანსამბლს ეხმარებოდა კარგათ: გარდა იმისა, რომ მან ვერ მოახერხა შეყვარებულის და მერე სასოწარკვეთილებაში ჩაგარდნილ ადამიანის ენთ ლაპარაკი, ის უგრძობოდაც იყო და ამიტომ, ერთი ქუთათური შინაური რეცენზენტის ტერმინით რომ ვისარგებლოთ, ლაუფენი გამოვიდა ჯაფარიძეთ და არა ჯაფარიძე ლაუფენათ.

— ეს სამი კვირა, ჩვენი თეატრის ცხოვრებაში სცენის მოყვარებმა შეიტანეს ერთი ახალი რამ. ეს გახლავს განცხადება, რომლითაც საზოგადოებას მადლობას უძღვნებენ. თავის დასაკრავათ სცენაზე არ გამოდიან. ყოველივე ახალი ადამიანებს პირველათ ესმუშებათ და აქაც ეს მოხდა: საზოგადოებას არ მოეწონა ეს და აღარც ტაშს უკრავს. ზოგი მოქმედება ისე მოქმედებს ხალხზე, რომ თავს ვეღარ იკავებენ და ტაშს უკრავენ ხოლმე, მაგრამ უკიდურესი ბოიკოტები ჩქარა აჩუქებენ. ჩემი აზრით სცენის მოყვარეთა დადგენილება არაა დასაწყენი, მით უმეტეს, რომ გამოწვევამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო და ძალიან ხელს უშლის კულისებში მუშაობას. ტაშის დაკვრა თუ ისე არ შეიძლება, რომ მაშინვე მადლი არ გვეთხრან აქტიორებმა, ახირებული საჩუქარი ყოფილა. გამოწვევის გაკეთება შეიძლება და საზოგადოთ რომ მოისპოს გამოწვევა, არას წავაგებთ.

გლახთა განთავისუფლების 50 წლის თავი აქაც იღვასსაწაულეს. დღესასწაული მოაწყო დრამატიულმა საზოგადოებამ და სახალხო უნივერსიტეტმა ერთად. საღამო გაიხსნა ვ გომელაურის რეფერატით: „ბატონ ყ.ობის გაყრა საქართველოში“ რეფერატი მოკლე მხარამ შინაარსიანი იყო და ისტორიული ფაქტები სწორი; სწორი იყო დასკვნებიც გარდა ერთისა, ამ ერთში კი რეფერენტი ვერ გასცილდა გლახურ რწმენას და ბატონ ყობის გაყრა

ტახტს დაასაკუთრა მართალია, ჩვენში გარეშე ძალამ უშველი ჩვენ გლახებს, მაგრამ ეს გარეშე ძალა იყო არა ტახტი, არამედ მაშინდელი ახალი რუსეთი.

შემდეგ წარმოადგინეს ყაზბეგის დრამა „არცენა“, რამაც ძალიან ეფექტიურათ ჩაიარა და ეს ეფექტი უმთავრესათ შექონდა ბ. ვარაზიშვილს, რომელმაც უნაკლულოთ შესარულა არსენას როლი. კარგი იყვენ აგრეთვე ბ.ბ. ტარუაშვილი (ვეტრე), მითაიშვილი (იორამ) და გ. ნუცუბიძე (სირაჯი). ქ. ქილარჯიშვილი ხომ ამ როლში (ნინო) ჩვეულებრივ შვენოდა. ისენი განირჩეოდენ, თორემ სხვანიც კარგათ უწყობდნენ ხელს ანსამბლს. პიესამ ძალიან ასიაშოვნა დამსწრენი.

ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. წაიკითხეს ლექსები სცენის მოყვარებმა რაფიელისა და ილიას ლექსებიდან გლახების შესახებ. ლექსები ყველამ კარგად წაიკითხა, ყველაზე კარგად კი გომელაურმა და ქილარჯიშვილმა. წაიკითხეს აგრეთვე ნაწყვეტები: ბ. წუწუნავამ ნინოშვილის მოთხრობიდან „ჯანყი გურიისში“ და გომელაურმა „კაცია ადამიანიდან“.

საზოგადოება ნასიამოვნები დაბრუნდა ღამის ორ საათზე. ამას გარდა ეს დღე იღვასსაწაულეს ადგილობრივმა სასწავლებლებმაც, რომლებიც შეიკრიბნენ ერთად სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც წაიკითხეს იქმნა რეფერატები და ლექსები მოსწავლეებს დღეობის აღუქმანდრე მეორის სურათები და პატარა წიგნაკები.

ღ—ღ.

### მოწერილი აძებები.

(პროვინცია).

დ. სამტრეია. წრეგანდელმა ზამთარმა ღამის სუღა ამოგვხადოს. მიუღი ანუარი ისე გავიდა, რომ ერთი მხანა დრე არ ვინასვს, სოთფა და სოთფა განწყვეტლავ. მომწრე კაცებმა ამბებენ, რომ ამერეთში ასეთი ზამთარი და ასეთი დიდი თოფლი ვერ არ უნახავთ. მართლდა: ხლდა მხანა დღეებო დაჯიარა და თოფლი დრე, მკრამ მოსდღადრეღა წყაღდიდობა უარეს უბადურეპს უქაღის სსსოწარკვეთაღებში წყარდნილ წაღსს. ვანტ გაღრმა ამ სსსენელ ზამთარს და სუღი გაიტხა, ხლდა უკადურეს გაჭიერეპს განიდთას. შეუღა კი არსდა არას.

— ერთხანთ თითქო აქ მოქაქო უუნდაღ-გაჭოქობას გაუიღვას სქაქო, აჭენტობას ავისდა ნ. ურუშაქიმ, მკანამ ჩქარა ასეუ თავი მისაგება. ხლდა თითქმის სწატრე-

ლი გავცინთა შურნად გავხეობი. სვლამის ვინმე ერთ-სელ და სმუდამით ავისროს ეს სქემე და მოაწვოს რაკიანაო.

აქურ სმკითხველში თითქმის ეველას შურნად-გავხეობი გვაქვს, რას მადლობელიც ქ. შ. წ. კ. ბ. ს. უნდა ვყოთ.

ს — კ — ლი.

**ხონის რაიონი** აქურ სვლს ვერ არ ვხსოვს ასეთა წამოხრობა. 7 ანგორიდან მიმოსვლას შეეწედა ქუთაისის სმტრედის და ხონის შირასი. კანთკულერსე ჩამოსვლის მსწავლელები და მისწავლეები დაწმენი. მსოლიდ 1-ლ თებერვლს განასვლეს მიმოსვლას ქუთაისის და ხონის შირასი. მთელი თვის განმავლობაში ფოსტას მსოლით ერთ-სელ მივიდეთ. თოვლამ დიდი ზარალი მიაკენს სვლს. ბევრი ფარდულები და სხვლები ჩამტვრია. წისქვილები ადარ მუშაობს ეინების გამო და სვლი მიხარულ სომინდით იკვებება. ეველასეური ვაჭარდა უკნობობის გამო. ფუთი ნავთი 3 მ. 60 კ. ფასობს.

ჩვენ დალოცვილ ხონში შეუარაღა ინტელიგენტი ბეერია, შირამბენ, თავს იტყებენ, ახრებენ კლეტებს და სხვა განსრობებს და რამე კულტურულ დაწესებულებასთვის კი თავს აწვინ იტკივებს.

— ბოქულ ფაღვას ადგილზე ხონში რაქიდან გავდმოიყვანეს ბოქული დუმბიკი.

— ანგლისის კომუნაში სვლხინობი იყოდა ტყე დადანიისკან. ახლად ამ კომუნაის განურხნასეს რეინის ტყის გაყვანს სმტრედიდან სვლხინობიკ. რეინის ტყის ლანდავს ხონში უნდა გამოაბროს. როგორც ხმება ინვლისელებს ამ ადგილებში სხვა და სხვა მანებობი დმოიქნიათ.

„616“.

**ს. ბოლავარა.** სვდკურ ბავჯარაში რეინის ტყის ქართულ მისმისხურეთა რიცხვი 70 უდრის. ამ 70 კგში ვერ ნახეთ ერთსაც, რომელსაც ქართული შურნადი ან გავხეობი ჭქმდეს გამოწერილი ან ისე ეადულობდეს და კითხულობდეს ერთ მიშენიერ დღეს რომ ქვეყანას კადანბრუნდეს, ბავჯარის ქართულობის უმეტესი ნაწილი ვერფერის ვაკებში ისე მოაწვევრთა ანაინ ცხოვრების ეუველ ნაირ მოვლენებს. შირხეობის თუ არა სქემეს, გარბიან თავაიან „სორაკებში“, რომ 24 სხათის შემდეგ ისევე გამოძებნენ და მინურად შირამის უდელი სწიონ. სმავიერით ვამავარის მადობის დროს ერთკულათ დაუტებენ ერთა მეთრეს, აბ ვინ ან სვლ თამამშეს კარტსი. სუბედურთ ეს სენი აქ ძალან ვაწრეკლებულია და რაღა გასაკვარა, რომ ისინი შურნად გავხეობს არ კითხულობდენ. მაშინ სომ კარტის სვთამამით არც დრო დარჩებოდა და არც ფული ამას გარდა ბუერს მივლდებოდა ქი გრედ წოდებულ, უკულო ამანტკანების მოაწვებენ

ორ შურნას გავარდას ქულსე და თავი თსმლეთის სელთანა ჭკინათი. ასეუები არან უმეტეს შემთხვევაში სოგაერთი კანტრომბიკები, „გვსოვშიკები“, ტელეგრაფისტები, „სმამბიკები“ და სხვა.

ბარდი.

**ფოთი.** სკრმობელი სითბო დავტარა, თოვლი სრულიად ვადნა, რომის ავარებს შეეშინო მიაქვს. 19 თებერვლს კინლამ უმეტესებს არ დავტრადდა. ხიდას ქვეშ შეშეს იტვრდა ორი უცნობი, რომელთაც ნავი ვადუბრუნდათ, წვალმა ზირეულ ხიდაის მეთრეშის მიიტანა ნავსე სელ ჩაკადუბლნი, სვდც ფალეუებით ვადარხინეს. მდ. კანტრინამ ძლიერ მოამატა, 14 ს. დამე ერთ ადვალსე ვადრე ვადმოსეთქ და თუ ადრევე არ ეთფელით ენკრეული სომეხი მიდებულა, მოსვლად ნელი იყო წვალს მთელი ქალაქი მეთრეცხა. როგორც სარწმუნო წვარობიდან გავგეო, ფოთის უთოვლ მისამართლეს თავ. ეთიანს, რომელიც ამ დღეებში აქედან ვადიყვანეს, ნადვამი (ფოთის ნაწილი) წვალ-დილობისკან დახარდადებულთათვის შეუწირეს ის თანხა, რომელიც მისი ვასინვალეულ ვახშისთვის შეუგროვებიათ მის მტრეისმცემებს.

ბატონ-უმობის ვადავარდადან 5 მ წლის ადინამ სვლთ 19 თებერვლს, წავითხულ აქნს ლექციები თვით-მართულობის დარაზში, ვაყუბის ვამნახანში და სმთაქალაქი სსწავლელებში. ამ უკანასკნელს ჩვენც დავუწვართ. ზრთვანამ ვრცელი და მხანარსანი იყო. ლექციებს გარდა წავითხეს ლექციებიც რუსულ-ქართულად. ბერევე თამამშეს რუსულათ „ხელოროსლება“-დან ერთი მოქმედებს და ქართულად „აკაო ყანდა“ აღის ტვანვანძის. ბოლო სტენში გამოჩნდა ბიუსკო დავუწვადრე მეთორის, რომლის დროსაც შესრულიებულ აქნას ნდობისაღურთ ჭიშინ და სვლხაც სრული ნსიათვრები დავშალა.

კაციხ მუნჯადი.

ფოსტა

ბ. ს. — ე. გ. ნ. ს. „სილუეტები“ სუსტა. არ და აბეჭდება.

**თქვილიძე.** — ი. ა. ვ. ვ. გ. ე. ს. „როგორც თქვენნი ლექსიდან სხნს ცუდი სოხმბო ვინახეთ და იმიტომ ვატყვიხათ ძალი. ერთთა ძალიან მადლეველები რამ არის, როცა სოხმბოში გულის სტრეოთს ნახვად როცა გამოკვლავებს ევდარ ხედვ. იჭერებით ძალიან ადლეველები ვართ. სწორეთ ამ მისწრებით ვერ ვთავსებთ თქვენ ლექსს „სოხმბო“ ვშიმობთ მისამ წავითხემს წულული არ ვავანსლოთ.

**ქუთათის.** — ი. ა. ს. მ. ე. ს. თქვენნი ლექსი „გუთონი სმამობობის“ სვრეობო რამ არის, მკვრამ ვერ ვიტყვდეთ, რადგან ვუქმანის ჩვენ „მეტროიტებს“ ნერვები არ

აკმალოთ. თქვენ თვითონ დაგვეთანხმებით, რომ ამ ტუ-  
პის წაკითხვასე

„არ გრცხვინია“, ქართველთა ერის  
რომ აგრე დაგვინას ვეჟას ზოგეთ  
ქართველ ენასა იფიქრებთ  
და მისდგომ სხვა რაჟელ ენასა.

არა ერთ და ორ „ხატრობის“ წყუას გულო ცო-  
ტა მხარული ღექსი დასწერეთ და სიამოვნებით დაებეჭ-  
დეთ.

**თფილისი.** — ჭ ე ო ნ დ ი დ ე ლ ს. „სამთარა“ არ  
დაიბეჭდება. მართალია წარსულმა სამთარმა „ტურან-მე-  
ღას და ჭიაუელას“ დიდი ზიანი მოუტანა, მაგრამ რაც  
იყო, იყო, ესაა გასაფხულია და სამთარსე წერს არეის-  
თვის სისამთარო არ არას. დასწერეთ გასაფხულსე.

**თფილისი.** — ა რ ა რ ა ტ ე ლ ს. აწერებით ღექსი  
გამოგეზავნეთ და თუ არ ვარგოდა და იმიტომ არ და-  
ბეჭდეთ აგაშენა დმერთმთო. გამდლობთ, მაგრამ თქვენ  
ღექსი არ მივდივარ. მივიდეთ ესაა მხოლოდ „საქართ-  
ველთ“ და „საღამურთ“ ს წყენ გვეგონა ბ-ნ რისტომ-  
მაშეილის რჩევა-დარბების შემდეგ საქართველთს თავს  
დაანებებდით, მაგრამ თქვენ მანც თქვენსს გაძახათ  
ბრძოლა და ბრძოლა. ნუთუ ვერ გაიგეთ, რისტომმაშეა-  
ლადა, რომ საქართველთს ბრძოლა არ ესაჭიროება.

**სიღლატ.** — მ ო დ ი ა ნ ხ ე ლ ს. წყინვა“ მივიდეთ.  
„რთველსც დაბო დაბოდა და გულო გვექინდა სკულეს“  
და სხვა. ღექსთა წუობა სჯუცხოვთა, მარა ერთი ვერ გა-  
ვიგეთ რთვთარი სირბალი იცის დარმა. გაგებებთსე და  
დაებეჭდეთ.

1 მარტიდან ქ. თფილისში გამოვა

ყოველ-დღიური სალიტერატურო-სამეცნიერო -  
საბოლიტიკო გაზეთი

# „სხალი საქმე“.

რედაქციის დროებითი ადრესი: *Тифлисъ, Головин-  
ский проспектъ Типографія Кереселидзе (около  
разнойной станціи).*

## იუიღება

1) „**ეშმაკის მთარახა**“ 1908 წლისა (35  
ნომერი ერთად შეკერილი) — 1 მან.; დაკაზმული  
მშვენიერ ყდაში — 1 მან. 75 კ.; მსურველს პრო-  
ვინციაშიაც გაგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავ-  
ნის მიემატება — 50 კ.

2) „**მთარახ საღამურა**“ 1909 წლისა (34  
ნომერი), დაკაზმული და დუკაზმევი — იმავე ფასებ-  
ში, როგორც პროველი.

3) „**ეშმაკის მთარახა**“ 1907 წლისა (13 ნო-  
მერი ერთად შეკერილი) — 1 მ.; გაგზავნით 1 — 20.

4) „**ალმანახები**“ 1909 წელში გამოცემუ-  
ლი: „აკაკი“, „ეშმაკი“, „ჯოჯობეთი“, „ეშმა-  
კის მთარახი“ და „ტარტაროზი“. (სულ 10 ნო-  
მერი ერთად შეკერილი) — 30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.  
ადრესი: *Тифлисъ, Типографія Шрома, Мухран-  
ская ул. № 12, Теофилу Болквадзе.*

ზირველ იანგრიდან გამოდის ყოველ-კვირე ული სალიტერატურო ჟურნალი

# ს ა ლ მ უ რ ი

შუჩნალი წლიურათ ღირს 5 მანეთი თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

დაიბეჭდება: მოთხრობები, ღექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღე-  
ბო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

კორესპონდენტები, სხვა წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს, *Тифлисъ Ти-  
пографія „Шрома“ Мухранская, № 12, Теофилу Эрастовичу Болквадзе, для саламури*